# ხაშურის მოამბე

№34(315) 2 ნოემბერი, სამშაბათი, 2021 წელი

## ხაშურის მუნიციპალიტეტის არჩევანი `ქართული ოცნებაა“

დასრულდა თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური. 30 ოქტომბერს, საქართველოს ხუთ თვითმმართველ ქალაქსა და 17 მუნიციპალიტეტში ის სუბიექტები უნდა გამოვლენილიყო, რომლებიც მერის თანამდებობას დაიკავებდნენ და ოთხი წელი უხელმძღვანელებდნენ კონკრეტული ქალაქის თუ მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას. მათ რიცხვში იყო ხაშურიც.

ხაშურში, არჩევნების დღეს, საარჩევნო ყუთთან 22737 ამომრჩეველი მივიდა (სულ რეგისტრირებული იყო 48747 ამომრჩეველი). მათგან 13066 - მა (59,08%) „ქართული ოცნების“ კანდიდატის - **თენგიზ ჩიტიაშვილის** სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს იოსებ ბუაძეს კი 9049 (40,92%) ამომრჩეველმა დაუჭირა მხარი. ამრიგად, დიდი უპირატესობით გაიმარჯვა და ოთხი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი იქნება.

ჩვენი მრავალრიცხოვანი მკითხველის სახელით, ვულოცავთ ბატონ თენგიზს ამ გამარჯვებას და იმედს გამოვთქვამთ,რომ მისი ხელმძღვანელობით ჩვენი მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწევს ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური კუთხით.

პარალელურად, არჩევნების მეორე ტური გაიმართა ხაშურის საარჩევნო ოლქის 26-ე უბანზე (გომი), სადაც საკრებულოს წევრობისათვის ორი კანდიდატი იბრძოდა. „ქართული ოცნების“ კანდიდატმა დავით მეტრეველმა ხმების 62,25 პროცენტი (1235 ხმა) აიღო, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა თემურ ვარდოშილმა კი - ხმების 37,7 პროცენტი (749 ხმა). ამრიგად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი დავით მეტრეველი გახდა.

## სურამში დევნილთა საცხოვრებელ შენობას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება

დევნილთა სააგენტო სურამში, იძულებით გადაადგილებული ოჯახების საცხოვრებელ შენობას, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, სრულ რეაბილიტაციას ჩაუტარებს. დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორი ბესარიონ სიმონიშვილი და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ვალერიან მჭედლიძე დევნილ ოჯახებს შეხვდნენ და აღნიშნული გადაწყვეტილება პირადად გააცნეს.

იძულებით გადაადგილებული ოჯახები, წლების განმავლობაში, მძიმე პირობებში, ავარიულ ობიექტში ცხოვრობდნენ. მთავრობის განკარგულება უკვე გამოიცა და სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება. რეაბილიტაციის პერიოდში სახელმწიფო დევნილებს ქირის თანხით უზრუნველყოფს.

## ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბახტევში გზის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ამ ეტაპზე ხორციელდება გზის მოსწორება და პარალელურად, ასფალტის დაგება

გარდა ასფალტის საფარის დაგებისა, პროექტის ფარგლებში, განხორციელდება გზის დამცავი კედლების–გაბიონებისა და სანიაღვრე არხების მილ–ხიდების მოწყობა.

სოფელ ნაბახტევში, ამ დრომდე, საგზაო ინფრასტრუქტურა არ არსებობდა, რაც უამინდობის პერიოდში, გადაადგილებისას ქმნიდა განსაკუთრებულ პრობლემას.

პროექტის განხორციელების შედეგად მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა, ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პირობებს მკვეთრად გააუმჯობესებს.

პროექტი, მთლიანად სოფელს მოიცავს, მოწყობილი გზით 900–ზე მეტი ადამიანი ისარგებლებს.

სამუშაოები, რომელთა ღირებულება 1184000 ლარს შეადგენს, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს.

# “სააკაშვილს იმდენი ხალხი ჰყავს გამწარებული, ქუჩაში ვერც გაივლის...”

მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ არაერთი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მას ედავებიან საბიუჯეტო თანხის გაფლანგვას, მათ შორის, ე.წ. პიჯაკების საქმეზე, ბრალი წარდგენილი აქვს 2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივი დარბევისა და ხელში ჩაგდების მიზნით ტელეკომპანია “იმედში” შეჭრის საქმეებზეც. ორ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერად ძალაში შესული განაჩენი უკვე არსებობს. 2018 წელს სააკაშვილს 3-წლიანი პატიმრობა მიესაჯა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის, საქმე ეხება სანდრო გირგვლიანის საქმეზე დაკავებული პირების შეწყალებას. იმავე წელს დაუსწრებლად გაასამართლეს პარლამენტის ყოფილ წევრ ვალერი გელაშვილზე თავდასხმის საქმეზე და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, თუმცა ამნისტიით ეს სასჯელი შეუმცირდა და საბოლოო სასჯელად 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, რაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ უცვლელად დატოვა.

საქმის მასალების თანახმად, 2005 წლის 29 ივნისს გაზეთ “რეზონანსში” გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ვალერი გელაშვილი უკმაყოფილებას გამოთქვამდა მოქმედი პრეზიდენტის მიმართ იმის გამო, რომ მას წაართვეს ქონება, რომლის ღირებულებასაც არ უნაზღაურებდნენ. ამავე სტატიაში მან ისაუბრა სააკაშვილის პირადი ცხოვრების შესახებ. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა ვალერი გელაშვილის სამაგალითოდ დასჯის მიზნით, პირადი შურისძიების მოტივით, თავდაცვის იმჟამინდელ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს დაავალა გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება, რაზეც ოქრუაშვილისგან უარი მიიღო. ამის შემდეგ, სააკაშვილმა ეს დავალება შსს იმჟამინდელ მინისტრს, ივანე მერაბიშვილს მისცა. მერაბიშვილმა მის დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური

ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორის, ერეკლე კოდუას ორგანიზებით სააკაშვილის დავალება ზედმიწევნით შეასრულა - 2005 წლის 15 ივლისს სოდ-ის ოპერატიული თანამშრომლები და შეიარაღებული სპეციალური რაზმის მებრძოლები თბილისში, მირცხულავას ქუჩის მიმდებარე¬ ტერიტორიაზე, თავს დაესხნენ ვალერი გელაშვილსა და მის თანმხლებ პირებს. ერეკლე კოდუას დავალებითა და სოდ-ის სამმართველოს უფროს გიორგი სირაძის ხელმძღვანელობით, სპეციალური რაზმის მებრძოლებმა ძალის გამოყენებითა და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გელაშვილი თანმხლებ პირებთან ერთად ავტომანქანიდან გადმოიყვანეს, კონდახებით სასტიკად სცემეს და გაიტაცეს მისი კანონიერი იარაღი, 10.000 აშშ დოლარი და 50.000 ლარად ღირებული ბეჭედი. სააკაშვილის დავალებით განხორციელებული ფიზიკური ანგარიშსწორების შედეგად, პარლამენტის წევრმა გელაშვილმა მიიღო სიცოცხლისთვის სახიფათო სხეულის მძიმე დაზიანება.

ამ თავდასხმის ფაქტზე სააკაშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია. გელაშვილის საქმეზე განაჩენი გამოტანილია მერაბიშვილის, კოდუასა და სირაძის მიმართაც.

ყოფილი პარლამენტარი, ბიზნესმენი ვალერი გელაშვილი “ იმ უმძიმეს ფაქტებს იხსენებს.

- ეს დღეებია, ატრიალებენ, პიჯაკების საქმეზეა¬ ბრალდებულიო, რაც სასაცილოა, პიჯაკების საქმე სახსენებელიც არ იყო, ისეთი მძიმე დანაშაულები აქვს ჩადენილი. ჩემს საქმეზე გამოძიება წლების შემდეგ ჩატარდა, სააკაშვილი გასამართლებულია, ამნისტია შეეხო და საბოლოოდ 6 წელი დაუტოვეს.

- 1999 წლის ბოლოს და 2000 წლის დასაწყისში, როცა “მოქალაქეთა კავშირის” უმრავლესობის ლიდერი იყო. მე მაშინ ვახტანგ ქუთათელაძესთან დაპირისპირებული ვიყავი, ბიძაჩემი გატაცებული იყო, ბიძაშვილი - ციხეში. მაშინ მივედი სააკაშვილთან, როგორც უმრავლესობის ლიდერთან. მივედი იმისთვის, რომ ჩემი ბიძაშვილი ციხიდან გაეთავისუფლებინათ. მიშამ მითხრა, შენთან ნუგზარ შევარდნაძეა დაპირისპირებული და ამ საქმეში ვერ ჩავერევიო. მერე 2003 წელს შემომითვალა, თუ მასთან მივიდოდი, საპარლამენტო სიაში ჩემს ორ კაცს ჩასვამდა, მაგრამ უარი ვუთხარი.

**- რატომ, ფულს გთხოვდათ სანაცვლოდ?**

- არა, დაფინანსება არ უთხოვია, როგორც ბიზნესმენი გვერდით ვჭირდებოდი, უნდოდა საზოგადოებისთვის დაენახებინა, რომ ცნობილი ბიზნესმენები მასთან მიდიოდნენ. ბოლოს გადავიკვეთეთ პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობის გამო. 2003 წლის ბოლოს ჩემს სახლში შევიდა სანდრა რულოვსი თავის ნათესავებთან ერთად, ჩემი მარანი გახსნეს და ღვინო დააჭაშნიკეს. რამდენიმე დღეში დამირეკეს, შენი სახლი გვინდაო. რეზიდენციის წინ იდგა ჩემი სახლი. 2004 წლის 3 იანვარი იყო. ამ საკითხზე ჩემს სახლში შევხვდი დავით კეზერაშვილს და ადმინისტრაციის უფროს ირაკლი ჩუბინიშვილს. ითხოვდნენ სახლი მათთვის დამეთმო. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გენერალური მოიჯარე მე ვიქნებოდი რეზიდენციის მშენებლობაში, ჩემს სახლს გადავცემდი მათ და სამაგიეროდ მივიღებდი სამოსახლო ადგილს სხვაგან. მშენებლობა სწრაფად ვერ მიდიოდა. გავაფრთხილე მიხეილი, რეზიდენციის მშენებლობა ასე მალე და ასე ადვილად არ დამთავრდება-მეთქი. მერე მთხოვა, გენერალური მოიჯარეობიდან გავსულიყავი, დიდი სიამოვნებით გავალ-მეთქი, ვუთხარი, რადგან პერსპექტივა ვერ დავინახე, ოღონდ ვთხოვე, ჩემი კომპანიისთვის ჩემი ფული გადაეხადათ. ფულის გადახდას არ აპირებდნენ, არც სახლის ფულს მაძლევდნენ და გაბრაზებული ისე მოვექეცი, როგორც ისინი მოექცნენ ჩემს ოჯახს. ამის მერე იყო ჩემზე თავდასხმა, ეს იყო ანგარიშსწორება იმის გამო, რომ პროტესტი გამოვხატე. მისი დაკვეთა იყო, სამაგალითოდ დავესაჯე, როგორც დეპუტატი, როგორც ბიზნესმენი, რომ მერე სხვებისთვის ეს მაგალითი ყოფილიყო.

**- დავით კეზერაშვილი ახსენეთ, მას რა როლი ჰქონდა ამ საქმეში?**

- როგორც მახსოვს, მაშინ ის იყო პირად დაცვაში და შუამავლის როლს ასრულებდა. მოვიდა და ჩემი სახლი ნახა. ავლაბარში რეზიდენციის წინ რომ აგურის¬ სახლია, ის იყო ჩემი საკუთრება და დავთმე რეზიდენციის მშენებლობის გამო ისიც და 2300 კვმ მიწაც. შევთანხმდით, ამ სახლში უნდა გადაეხადათ 1.400.000 დოლარი და მიწა უნდა გაეცვალათ, რომ მეორე სახლის მშენებლობა დამეწყო. ეს ფული არ გადამიხადეს, ამან გამოიწვია კონფლიქტი.

**- თავდასხმის დღეს როგორ გაიხსენებთ?**

- გზაზე დამხვდნენ, მანქანა დამიბლოკეს, კონდახი ჩამარტყეს თავში და წიხლები მირტყეს. ვინც კონდახი ჩამარტყა, მითხრა, ამის შემდეგ მაინც ვერაფერს დაწერ პრეზიდენტზეო. მიშას მაშინ ბევრი აგინებდა, მაგრამ არავინ უცემიათ. ეს იყო დაშინება ბიზნესის, პოლიტიკოსების, რომ მათ წინააღმდეგ არავის გაელაშქრა.

**- ბიზნესშიც ხელის შეგიშალეს?**

- რა თქმა უნდა. მაშინ ფოთის გემთმშენებლის აქციონერი ვიყავი, 55%-იანი წილი მქონდა. გემთმშენებელი დამიყადაღეს და საბოლოოდ ის გაკოტრდა. 6 მილიონი დოლარი მქონდა გადახდილი. სასამართლო¬ დავა წავაგე, გემთმშენებელი დავკარგე და ამაშიც მიშა იყო გარეული. მეორე სახლის მშენებლობა დავიწყე, მაგრამ ისიც დავკარგე. ახლა ის სახლი რომან ფიფიასია. 2007 წელს ჩემს კომპანიაში საფინანსო სამსახური შემოვიდა, რამდენიმე თვე იყვნენ, ბოლოს კი მაიძულეს ის სახლი გამეყიდა, არადა, კარკასი აშენებული მქონდა... ყველაფერს აკეთებდა, რომ გავკოტრებულიყავი.

**- ცემის შემდეგ დიდხანს გადიოდით რეაბილიტაციას?**

- ფუძის ძვლის მოტეხილობის შემდეგ 100%-ით რეაბილიტაცია შეუძლებელია. დღესაც გაბრუებული მაქვს ერთი მხარე, დღემდე მაქვს იარა და ეს დარჩება სიცოცხლის ბოლომდე. მათ სასიკვდილოდ გამიმეტეს, სასწაული იყო ჩემი გადარჩენა. ოპერაციიდან ორ თვეში საქართველოში დავბრუნდი. მერე პარლამენტშიც დავდიოდი.

**- ხომ არ გიცდიათ, სააკაშვილთან გაგერკვიათ, რატომ გაგწირათ სასიკვდილოდ?**

- რა უნდა გამერკვია, მიზეზი ისედაც გასაგები იყო! ბიზნესიც და წილებიც ჰქონდათ მათ, ვინც “ნაცმოძრაობასთან” იყო ახლოს, სხვებს არაფერი არ უნდა ჰქონოდათ, ყველას ატერორებდნენ.

**- წლების შემდეგ დაიწყო თქვენი საქმის გამოძიება. დღეს განაჩენი გამოტანილია. ელოდით, რომ ბრალდებულები დაისჯებოდნენ?**

- სასამართლო პროცესებზე დავდიოდი¬. ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ექვს წელს მიუსჯიდნენ სააკაშვილს, თუ ორს, მთავარი იყო, სასჯელი გამოეტანათ და მას პასუხი ეგო. მე შემსრულებლების დასჯა არც მომითხოვია, ყველას ვაპატიე, რადგან მათ ბრძანება შეასრულეს. სასამართლო პროცესზე ყველაფერი აღიარეს. ამოიღეს ჩანაწერებიც და გაირკვა, რომ მიხეილ სააკაშვილი სატელეფონო საუბრებშიც მონაწილეობდა.

- “ნაცმოძრაობაში” ამბობენ, რომ სააკაშვილი არის პოლიტიკური დევნილი და ის დღეს არ აღიარებს არც ერთ დანაშაულს.

- პოლიტიკური დევნილია მიშა? სასაცილოა! ვინ აღიარებს ამას?

სააკაშვილის მაქსიმუმ 2-3 ათასი ადამიანი დაუდგეს გვერდით, იმდენი ხალხი ჰყავს გამწარებული, ქუჩაში ვერც გაივლის...

**- თქვენ რომ დღეს ქუჩაში შეგხვდეთ, რას ეტყვით?**

- ბევრჯერ ვცადე ვილნიუსში დამეჭირა, მაგრამ ვერ დავიჭირე. მინდოდა შური მეძია და მაგრად მეცემა. ჯერ ერთი, კურდღელია - რომ დამინახავდა, გაიქცეოდა, მაგრამ სადმე რომ შემხვედროდა, აუცილებლად ვცემდი! მიშა ფსიქიკურად დაავადებული ადამიანია. სახეზე შეხედეთ! რა დიდი ამოცნობა ამას უნდა! ახლა არც იმაზე ვილაპარაკებ, ვისი პასუხისმგებლობაა, რომ დღეს ისევ “ნაცმოძრაობაა” მთავარი პოლიტიკური ძალა და ამდენს ალაპარაკებენ. ეჭვი არც იმაში მეპარება, რომ უცხოელები ხელისუფლებას აიძულებენ, ის შეიწყალოს და გამოუშვან, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მიშა ციხეში ვერ გაჩერდება, ვერ გაძლებს. 2-3 თვე რომ დატოვო სამარტოო საკანში, ჭკუიდან შეიშლება, თავს მოიკლავს და მისთვის ტრაგიკულად დასრულდება ყველაფერი. მისი ფსიქიკა ჩაკეტილ სივრცეს ვერ გაუძლებს.

**- თქვენ აზრი რომ გკითხონ მის შეწყალებაზე, დასთანხმდებით?**

- ჩემთვის საკმარისია, ერთი წელი მაინც ჩაჯდეს, მერე ალბათ, დავთანხმდები...

**- ამ თავდასხმამდე სააკაშვილს თქვენ მიმართ აგრესია თუ გამოუხატავს?**

- ადრე ნორმალური ურთიერთობა¬ გვქონდა. ეტყობა, მის გარემოცვას არ მოსწონდა ეს და გააღიზიანეს. ისიც ვიცი, რომ ჩემზე თავდასხმის შემდეგ მან სკამები ესროლა თავის გარემოცვას, რადგან მიხვდა, რაც ჩაიდინეს, თუმცა უკვე გვიანი იყო - მათ სასიკვდილოდ გამიმეტეს.

# ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31)

ამის შედეგი იყო, რომ 1907-1910 წლებში ხაშურსა და მის რეგიონში განსაკუთრებით გამწვავდა კრიმინოლოგიური ვითარება. ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ წითელრაზმელები და შავრაზმელები. ხშირად ჰქონდა ადგილი სახელმწიფო დაწესებულებებზე თავდასხმებს, მოსახლეობის დაყაჩაღებას, ძარცვას და სხვა. ამ პერიოდში განხორციელდა არაერთი ტერორისტული აქტი.

გუბერნატორ ლოზინსკის 1910 წლის 8 აპრილის იმავე მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ: თბილისის გუბერნიის ფარგლებში არის ორი კერა, რომელიც თავს უყრის დამნაშავე ელემენტებს; ქ. თბილისი და ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ მიხაილოვოსთან არსებული დაბა,რომელიც გორის მაზრაში იმყოფება. თბილისში სამძებრო განყოფილების ჩამოყალიბებასთან ერთად მისი, როგორც მიმალულ რევოლუციონერთა ცენტრისა და თავშესაფარის მნიშვნელობა დაეცა, მაგრამ სამაგიეროდ კიდევ უფრო გაძლიერდა დაბა მიხაილოვო, რომელიც არა მარტო რამდენიმე სალიანდაგო გზის კვანძისა და რკინიგზის სახელოსნოების ადგილია,არამედ გორის მაზრის დასავლეთი რაიონების ცენტრიცაა (ბორჯომი, სურამი და ქარელი) და ესაზღვრება მღელვარე ქუთაისის გუბერნიას.

მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ 1909 წელს, მეფისნაცვლის ნებართვით, ხაშურის რაიონში მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ადგილი ჰქონია აგენტების შეყვანის ცდას. მიუხედავად იმისა, რომ აგენტების მოქმედებას მთელი რიგი უარყოფითი შედეგები მოჰყოლია, 1909 წლის აგვისტოს თვიდან გორის მაზრაში დაუკავებიათ ფარულად დაბრუნებული ადმინისტრაციული წესით გასახლებული 40 კაცი, ყაჩაღთა ბრბოდან – 12,ყაჩაღების დამფარავი – 16 და სხვადასხვა სახის ბოროტმოქმედების ჩამდენი 92 პირი.

აგენტები, – ნათქვამია მოხსენებით ბარათში, – რომლებიც თვეში 25-30 მანეთს იღებდნენ ხელისუფლებიდან, ვერ აკმაყოფილებდნენ სწორი ძიების მოთხოვნებს, „...ბრძოლა კი ყაჩაღთა ორგანიზაციებთან და ცალკეულ ბოროტგანმზრახველ პირებთან უნდა სწარმოებდეს რაციონალურ საწყისებზე, რადგანაც სად. მიხაილოვოსთან არსებულ დაბის რაიონში დანაშაულებანი დღითიდღე უფრო იზრდება და მათი გამომჟღავნება ტერორის გამო რთულდება.”

გუბერნატორი ლოზინსკი გადაუდებელ საჭიროებად მიიჩნევს სადგურ მიხაილოვოში და მისგან განშლად სალიანდაგო გზების რაიონში ჩამოყალიბდეს პოლიციის გაძლიერებული პუნქტი, რომელსაც საშუალება ექნება რკინიგზის პოლიციასთან ერთად შეუსუსტებლად თვალყური ადევნოს ბოროტმოქმედ ელემენტებს, მალე გახსნას დანაშაული და მისდიოს მათ ცხელ კვალზე.

„უწინარეს ყოვლისა,– წერს ლოზინსკი,– სად. მიხაილოვოში მუდმივად უნდა იმყოფებოდეს რკინიგზის საჟანდარმო პოლიციის ოფიცერი, რაც ადვილად იქნებოდა მიღწეული ამჟამად ქ. ტფილისში მცხოვრები ამ პოლიციის გორის განყოფილების უფროსის ამ პუნქტში (ე.ი მიხაილოვოში) გადაყვანით.”

გუბერნატორი ლოზინსკი მოითხოვს აგრეთვე „...გორის მაზრის დასავლეთი ნაწილის სამძებრო საქმე დაეკისროს განსაკუთრებულ აგენტს”, რომელსაც მუდმივი ურთიერთობა ექნება თბილისის სამძებრო განყოფილებასთან და დაემორჩილება გორის მაზრის უფროსს.

ერთი საინტერესო დეტალიც: „ გორის მაზრის დასავლეთი ნაწილიდან განსაკუთრებული მაზრის შექმნის შემთხვევაში”, აგენტი გადავიდოდა ახლად დაარსებული მაზრის უფროსის განკარგულებაში.

ამრიგად, იმდენად გართულებულია მდგომარეობა ხაშურის რაიონში, რომ გუბერნატორი შესაძლებლად მიიჩნევს გორის მაზრის ამ ნაწილში შეიქმნას ახალი, „ განსაკუთრებული მაზრა” და პროექტსაც უდგენს კავკასიის მეფისნაცვალს.

გორის მაზრის უფროსი პოლკოვნიკი ვახვახიშვილი თავის მხრივ თბილისის საგუბერნიო სამმართველოს უდგენს ცნობებს „...ახალი სამაზრო სამმართველოსათვის საჭირო საგასაწყობო თანხის რაოდენობის შესახებ”.459

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ როცა ცნობილი გახდა ინფორმაცია გორის მაზრის შესაძლო გაყოფის შესახებ ცენტრით მიხაილოვოში (ხაშური), სურამის საზოგადოებაში გაჩნდა სურვილი ახალი მაზრის ცენტრი ყოფილიყო არა მიხაილოვო, არამედ სურამი.

სურამის საზოგადოებამ 1910 წლის 23 მარტს თბილისის გუბერნატორს სპეციალური თხოვნაც კი მიართვა, რომელშიც ასაბუთებდნენ სურამის უპირატესობას ხაშურზე და წინადადებებს აყენებდა სურამის მაზრის შექმნის შესახებ. „დაბა სურამის და სურამის სასოფლო საზოგადოების მცხოვრებთათვის ნათქვამია თხოვნაში –, ცნობილი გახდა, რომ თქვენს აღმატებულებას სურს ახლო მომავალში გაჰყოს გორის მაზრის ტერიტორია, როგორც ტფილისის გუბერნიის ფარგლებში მეტისმეტად დიდი მაზრისა, ორ დამოუკიდებელ მაზრად. ჩვენამდე მოსული ხმების მიხედვით ახლად წარმოქმნილ მაზრად ნავარაუდებია მიხაილოვო სადგურ მიხაილოვოში სამაზრო საპოლიციო სამმართველოს დაწესებით...

...გვაქვს პატივი უმორჩილესად ვითხოვოთ თქვენი აღმატებულობის დახმარება გორის მაზრის გაყოფისას ახალი სურამის მაზრის შექმნაში დაბა სურამის სამაზრო საპოლიციო მმართველობის დაწესებით.

ამ საკითხის სურამის საზოგდოებისათვის სასარგებლოდ და კეთილსასიამოვნოთ გადაჭრით თქვენი აღმატებულება გაუწევს დაბა სურამს და მთელი სურამის სასოფლო საზოგადოებას დაუფასებელ და სრულიად დამსახურებულ დიდ დახმარებას”.

როგორც ვხედავთ, გასული საუკუნის ათიანი წლებისათვის ხელისუფლების მხრიდან საკამაოდ ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ახალი მაზრის ჩამოსაყალიბებლად. თუმცა ამ მხრივ რეალური, რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ გადადგმულა. როგორც ჩანს რეაქციის შემდეგ ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ მისი განხორციელება დღის წესრიგიდან მოხსნა. მხედველობაში გვაქვს ახალი რევოლუციური აღმავლობა და პირველი მსოფლიო ომი, რომელმაც მნიშვნელოვანად შეცვალა ქვეყნის შემდგომი განვითარება.

ათიანი წლების დასაწყისიდან ხაშურში კვლავ გამოცოცხლდა საზოგადოებრივ - პოლიტიკური მოძრაობა. კვლავ ადგილი აქვს მუშათა გამოსვლებს ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნებით. მათ გვერდით უდგას გლეხობა. მოძრაობაში აქტიურად არის ჩაბმული ადგილობრივი ინტელიგენციის დიდი ნაწილი. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პერიოდის ხაშურის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა მნიშვნელოვნად განსხვავდება 900-იანი წლების მოძრაობისგან, რომელიც უფრო მასშტაბურობით გამოირჩეოდა. ამის საილუსტრაციოდ თუნდაც 1905-1907 წლების რევოლუციურ მოძრაობაში ხაშურისა და მისი რაიონის მოსახლეობის მონაწილეობაც კმარა.

1911 წლის 25 მაისს, გორის მაზრის უფროსის დავალებით, ხაშურში გაჩხრიკეს ვარლამ ძნელაძის წიგნების მაღაზია და აღმოაჩინეს დიდძალი არალეგალური ლიტერატურა.

1913-1914 წლებში რამდენჯერმე გაიფიცნენ ხაშურელი რკინიგზელები, – აღნიშნავს მკვლევარი გ. გოგოლაძე – მათ წამოაყენეს ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნები. რკინიგზელ მუშებს მხარს უჭერდა რაიონის სოფლის ორგანიზაციებთან და ცალკეულ ბოროტგანმზრახველ პირებთან უნდა სწარმოებდეს რაციონალურ საწყისებზე, რადგანაც სად. მიხაილოვოსთან არსებულ დაბის რაიონში დანაშაულებანი დღითიდღე უფრო იზრდება და მათი გამომჟღავნება ტერორის გამო რთულდება.”

გუბერნატორი ლოზინსკი გადაუდებელ საჭიროებად მიიჩნევს სადგურ მიხაილოვოში და მისგან განშლად სალიანდაგო გზების რაიონში ჩამოყალიბდეს პოლიციის გაძლიერებული პუნქტი, რომელსაც საშუალება ექნება რკინიგზის პოლიციასთან ერთად შეუსუსტებლად თვალყური ადევნოს ბოროტმოქმედ ელემენტებს, მალე გახსნას დანაშაული და მისდიოს მათ ცხელ კვალზე.

„უწინარეს ყოვლისა,– წერს ლოზინსკი,– სად. მიხაილოვოში მუდმივად უნდა იმყოფებოდეს რკინიგზის საჟანდარმო პოლიციის ოფიცერი, რაც ადვილად იქნებოდა მიღწეული ამჟამად ქ. ტფილისში მცხოვრები ამ პოლიციის გორის განყოფილების უფროსის ამ პუნქტში (ე.ი მიხაილოვოში) გადაყვანით.”

გუბერნატორი ლოზინსკი მოითხოვს აგრეთვე „...გორის მაზრის დასავლეთი ნაწილის სამძებრო საქმე დაეკისროს განსაკუთრებულ აგენტს”, რომელსაც მუდმივი ურთიერთობა ექნება თბილისის სამძებრო განყოფილებასთან და დაემორჩილება გორის მაზრის უფროსს.

ერთი საინტერესო დეტალიც: „ გორის მაზრის დასავლეთი ნაწილიდან განსაკუთრებული მაზრის შექმნის შემთხვევაში”, აგენტი გადავიდოდა ახლად დაარსებული მაზრის უფროსის განკარგულებაში.

ამრიგად, იმდენად გართულებულია მდგომარეობა ხაშურის რაიონში, რომ გუბერნატორი შესაძლებლად მიიჩნევს გორის მაზრის ამ ნაწილში შეიქმნას ახალი, „ განსაკუთრებული მაზრა” და პროექტსაც უდგენს კავკასიის მეფისნაცვალს.

გორის მაზრის უფროსი პოლკოვნიკი ვახვახიშვილი თავის მხრივ თბილისის საგუბერნიო სამმართველოს უდგენს ცნობებს „...ახალი სამაზრო სამმართველოსათვის საჭირო საგასაწყობო თანხის რაოდენობის შესახებ”.459

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ როცა ცნობილი გახდა ინფორმაცია გორის მაზრის შესაძლო გაყოფის შესახებ ცენტრით მიხაილოვოში (ხაშური), სურამის საზოგადოებაში გაჩნდა სურვილი ახალი მაზრის ცენტრი ყოფილიყო არა მიხაილოვო, არამედ სურამი.

სურამის საზოგადოებამ 1910 წლის 23 მარტს თბილისის გუბერნატორს სპეციალური თხოვნაც კი მიართვა, რომელშიც ასაბუთებდნენ სურამის უპირატესობას ხაშურზე და წინადადებებს აყენებდა სურამის მაზრის შექმნის შესახებ. „დაბა სურამის და სურამის სასოფლო საზოგადოების მცხოვრებთათვის ნათქვამია თხოვნაში –, ცნობილი გახდა, რომ თქვენს აღმატებულებას სურს ახლო მომავალში გაჰყოს გორის მაზრის ტერიტორია, როგორც ტფილისის გუბერნიის ფარგლებში მეტისმეტად დიდი მაზრისა, ორ დამოუკიდებელ მაზრად. ჩვენამდე მოსული ხმების მიხედვით ახლად წარმოქმნილ მაზრად ნავარაუდებია მიხაილოვო სადგურ მიხაილოვოში სამაზრო საპოლიციო სამმართველოს დაწესებით...

...გვაქვს პატივი უმორჩილესად ვითხოვოთ თქვენი აღმატებულობის დახმარება გორის მაზრის გაყოფისას ახალი სურამის მაზრის შექმნაში დაბა სურამის სამაზრო საპოლიციო მმართველობის დაწესებით.

ამ საკითხის სურამის საზოგდოებისათვის სასარგებლოდ და კეთილსასიამოვნოთ გადაჭრით თქვენი აღმატებულება გაუწევს დაბა სურამს და მთელი სურამის სასოფლო საზოგადოებას დაუფასებელ და სრულიად დამსახურებულ დიდ დახმარებას”.

როგორც ვხედავთ, გასული საუკუნის ათიანი წლებისათვის ხელისუფლების მხრიდან საკამაოდ ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ახალი მაზრის ჩამოსაყალიბებლად. თუმცა ამ მხრივ რეალური, რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ გადადგმულა. როგორც ჩანს რეაქციის შემდეგ ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ მისი განხორციელება დღის წესრიგიდან მოხსნა. მხედველობაში გვაქვს ახალი რევოლუციური აღმავლობა და პირველი მსოფლიო ომი, რომელმაც მნიშვნელოვანად შეცვალა ქვეყნის შემდგომი განვითარება.

ათიანი წლების დასაწყისიდან ხაშურში კვლავ გამოცოცხლდა საზოგადოებრივ - პოლიტიკური მოძრაობა. კვლავ ადგილი აქვს მუშათა გამოსვლებს ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნებით. მათ გვერდით უდგას გლეხობა. მოძრაობაში აქტიურად არის ჩაბმული ადგილობრივი ინტელიგენციის დიდი ნაწილი. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პერიოდის ხაშურის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა მნიშვნელოვნად განსხვავდება 900-იანი წლების მოძრაობისგან, რომელიც უფრო მასშტაბურობით გამოირჩეოდა. ამის საილუსტრაციოდ თუნდაც 1905-1907 წლების რევოლუციურ მოძრაობაში ხაშურისა და მისი რაიონის მოსახლეობის მონაწილეობაც კმარა.

1911 წლის 25 მაისს, გორის მაზრის უფროსის დავალებით, ხაშურში გაჩხრიკეს ვარლამ ძნელაძის წიგნების მაღაზია და აღმოაჩინეს დიდძალი არალეგალური ლიტერატურა.

1913-1914 წლებში რამდენჯერმე გაიფიცნენ ხაშურელი რკინიგზელები, – აღნიშნავს მკვლევარი გ. გოგოლაძე – მათ წამოაყენეს ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნები. რკინიგზელ მუშებს მხარს უჭერდა რაიონის სოფლის გლეხობა. გაფიცვებმა მართლაც მასობრივი ხასიათი მიიღო. გაფიცულები მოითხოვდნენ 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღებას. კვირასა და უქმე დღეებში მუშაობის გაუქმებას, ხელფასის გადიდებას, შრომის სანიტარული და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას, სიტყვის, პრესისა და კრებების თავისუფლებას.462

1914 წლის 29 აპრილს, ხაშურის დეპოს უფროსმა სპეციალური ბრძანება გამოსცა, რომელშიც ნათქვამი იყო: „დეპოს მუშა-მოსამსახურე, რომელიც პირველ მაისს არ გამოცხადდება სამუშაოზე ან უმიზეზოდ გააცდენს სამსახურს, გადაეცემა სასამართლოს”.

მიუხედავად ასეთი კატეგორიული მოთხოვნისა, 1914 წლის 1 მაისს ხაშურში მაინც მოეწყო საპირველმაისო გაფიცვა, რომელიც მთელ დაბას მოედო.

1914 წლის 19 ივლისს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს და ისიც ჩაება საომარ ოპერაციებში.

ომის წლები ქვეყნისათვის მძიმე ეკონომიკური შედეგებით აღინიშნა, თანდათან დაეცა სახალხო მეურნეობა, ქვეყანა მოიცვა მძიმე ეკონომიკურმა კრიზისმა, რაც თანაბრად მოედო როგორც ქალაქს, ასევე სოფელს. მშრომელი მასები უკიდურეს გაჭირვებაში აღმოჩნდნენ, გაიზარდა ფასები პირველადი მოთხოვნილების საგნებზე, შიმშილი და სიცივე სდევდა სოციალურად დაბლა მდგომ ფენებს.

ასეთივე მდგომარეობა იყო ხაშურსა და მის რეგიონში. „დღიდან მსოფლიო ომის გამოცხადებისა, –წერდა გაზეთი „ახალი კვალი” – როგორც ყველგან, აგრეთვე მთელ ქართლშიც. იჩინა თავი სანოვაგისა და უსაჭიროეს საგნების საშინელმა სიძვირემ. აქაოდა ფულის მოგების საუკეთესო ხელსაყრელ დროთ ომიანობის ხანა ითვლებაო, ჩარჩ ვაჭრებმა გაჭირვებულ მცხოვრებთა უბედურებაზე თავიანთი ბედნიერების აშენება მოინდომეს. ეს ვაუბატონები ისე გაუტაცნია მოგების ძალას, რომ ადმინისტრაციის განკარგულებები და ნიხრი სავალდებულოდ არ მიაჩნიათ და როგორც მოისურვებენ იმ ფასებში ასაღებენ საქონელს მომხმარებელზე, ამას ზედ ერთვის ქართლის ჩარჩების თარეში სოფლად, რომელნიც ოხრის ფასად ყიდულობენ სოფლის ნაწარმს, შემდეგ ჩამოაქვთ ბაზარში და მამა-სისხლის ფასად ჰყიდიან. ერთი სიტყვით მომხმარებელი გამოუთქმელ გაჭირვებაშია ჩავარდნილი სიძვირის გამო, გამოსთქვამს თავის უკმაყოფილებას, მაგრამ მაშველს ვერსად ჰხედავს. ადმინიტრაციაც არავითარ ზომებს არ ღებულობს გამსუნაგებული ვაჭრების უკანონო მოქმედების წინააღმდეგ და მომხმარებელიც იძულებულია თავის უზომო დარდი გულში ჩაიკლას. შეძლებული კლასი საზოგადოებისა ასე თუ ისე როგორც იქნება გამოკვებავს თავს ამ საშინელ დროს. მაგრამ რა ჰქნას შეუძლებელმა კლასმა? მთელი სიძვირის მიერ გამოწვეული უბედურება, საზოგადოების უდარიბეს ხალხს აწვება კისერზე,ხოლო ამ კატეგორიის ხალხზე ზრუნვა ზედმეტ ბარგად მიაჩნდათ ვისგანაც ჯერ არს,იმისდა მიუხედავათ,რომ ომიანობის უმთავრესი ტვირთის მზიდავებიც ამ ოჯახებიდან გამოსულების არიან. ასეთი უბედურება-თავგასულობის დროს, ჩვენი საზოგადოებრივი ძალები არავითარს ორგანიზაციულს ინიციატივას არ იჩენენ,მიჩუმებულან და მათ თვალწინ გამეფებულს უკანონობას უკმაყოფილოთ შესცქერიან.”

იგივე გაზეთი, 1916 წლის 25 აპრილს, ხაშურის რკინიგზის, კერძოდ კი „რემონტის” მუშათა მდგომარეობის შესახებ წერდა: „არა მგონია, რომელიმე დარგის მუშები ისე ჩამორჩენილი იყვნენ ცხოვრებას, როგორც ამ დარგის მუშები. მეტი რომ არა ვსთქვათ 60 კაცი მაინც მუშაობს აქ,მაგრამ სამოც კაცში, სამს ვერ ნახავთ ისეთს, რომელიც უკვირდებოდეს, კვალდაკვალ მისდევდეს ცხოვრებას. როდესაც უკვირდებით მათ მდგომარეობას, ნათლად ვხედავთ, რომ ისეთ პირობებში უხდებათ მუშაობა, რომ მართლაც დამაფიქრებელია: მაგრამ ისინი შეჩვევიან თავიანთ ბედს... ამ საარაკო სიმძიმის დროს მათი ჯამაგირი თვეში 18 მანეთიდან 30 მანეთს არ აღემატება, რაც პურის ფასათაც არ ეყოფა ცოლშვილიან კაცს და სხვა აუცილებელი მოთხოვნილებები რითი უნდა დაიკმაყოფილონ?

1916 წლის 8 ივლისს, ხაშურში, მოხდა მშრომელთა გამოსვლა სურსათის მწვავე ნაკლებობის გამო. მღელვარების დროს პოლიციამ 14 კაცი დააპატიმრა.

ომის დაწყებისთანავე ხაშურსა და მის რაიონში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე გაზეთი „ახალი აზრი” წერდა: „გაისმა თუ არა ომიანობის ხმა, ჩვენებურმა მოვაჭრეებმაც გაიხარეს, საქონლის ფასი ერთი-სამათ ასწიეს და ხელათ გამდიდრება მოისურვეს. მოუმატეს ფასი: პურს, ხორცს, საქარს, ნავთს და ყველა იმ უსაჭიროეს სანოვაგეს, ურომლისოდაც არც ერთს მცხოვრებთაგანს ცხოვრება არ ძალუძს.”

ქვეყანაში შექმნილმა გაუსაძლისმა ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ, რასაც უფრო მეტად ამწვავებდა პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობა, რუსეთი თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციამდე მიიყვანა.

რევოლუციას დიდი იმედით შეხვდა რუსეთის განაპირა, ეროვნული მხარეები, რომელთაც წინ დემოკრატიული განვითარების გზა იშლებოდა.

## ხაშური 1917 წლის ნოემბრის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში (1917 წლის თებერვალი-1918 წლის მაისი)

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას დიდი გამოძახილი ჰქონდა ხაშურში და მის რაიონში. მშრომელი მასებისა და მოწინავე ინტელიგენციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა დემოკრატიული წყობილების დამყარებისთვის, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა. მოძრაობის ავანგარდში ისევე როგორც სხვაგან, ხაშურის რაიონშიც ადგილობრივი მუშები იდგნენ. ამ დროს ხაშურში სხვადასხვა სფეროში 1300-ზე მეტი კაცი იყო დასაქმებული.

მათ გვერდით იდგა რაიონის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი. განსაკუთრებით აქტიურობდნენ მასწავლებლები, რომლებიც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის წინა რიგებში იდგნენ და ხშირად ხელმძღვანელ როლსაც ასრულებდნენ. ისინი ფართო სააგიტაციო მუშაობას ეწეოდნენ რუსეთში მიმდინარე მოვლენებში სოფლის მოსახლეობის,კერძოდ კი გლეხობის გათვითცნობიერებისათვის.

1917 წლისათვის რაიონში მოქმედებდა რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაცია. ესენი იყვნენ: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა, სოციალ-რევოლუციონერთა (ესერები) და სოციალ-ფედერალისტური პარტიები. მოგვიანებით ჩამოყალიბდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში წამყვანი როლი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეჭირა. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ამ დროს, ხაშურში ცალ-ცალკე არ არსებობდა სოციალურ-დემოკარტიული მუშათა პარტიის ბოლშევიკური და მენშევიკური მიმართულებანი. იყო მხოლოდ ერთიანი, მენშევიკური მიმართულების სოციალურ-დემოკარტიული მუშათა პარტია.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

# 1818 წლის კამერალური აღწერა და ხაშურის მუნიციპალიტეტი

(გაგრძელება. დასაწაყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,25,26,31,32)

4.კაცია ვეშაპიძე , ქვრივი, მისი ვაჟი ნინია. ამ ორსულიან ოჯახს აქვს სახლი,

ხნავს აბაშიძეების 3დღიურ მიწას ღალაზე, იღებს 30 კოდ ხორბალს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვითა და სახვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

5. ნინია ლომინაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა გიორგი, მისი ცოლი, ვაჟი გრიგოლი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, სამდღიური საბატონო მიწა, იღებს 15 კოდ პურს, დღიური სამუშაოებით იღებს სარჩოს.

6. აღაჯან არუთინაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი ფარსადანი, ქალიშვილი.

ამ ოთხსულიანი ოჯახის ყველა წევრი ეთნიკურად სომეხია, აქვთ სახლი, ექვსდღიური საბატონო მიწა, აგროვებს 50 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა დასხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

7. ივანე ლალიშვილი(?), მისი ცოლი, ვაჟები: თევდორე, ლუკა, იორდანე, და ანდრო, ქალიშვილი.

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, სამდღიური სახნავი საბატონო მიწა, აგროვებს 20 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 3 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

თავად გიორგი აბაშიძის ყოფილი გლეხები, რომლებიც ახლა გაყოფით ერგო თავად ლევან აბაშიძეს.

1. სესია ბიბილური, მისი ცოლი და ქალიშვილი, ვაჟი გლახა, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ივანე, მისი ცოლი, ძმისშვილი ნინია.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, შვიდდღიური საბატონო მიწა, აგროვებს 70 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 6 სული.

2. დავით კახი, მისი ცოლი, ვაჟები ნინია და გიორგი, 4 ქალიშვილი

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას, აგროვებს 25 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 3 სული, 1 ცხენი. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

3. სესია ჯაფარიძე, მისი ცოლი, ვაჟები შალვა და დავითი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ოტია, ოტიას ცოლი და ქალიშვილი, ბიძაშვილი როსტომი.

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ოთხდღიურ საბატონო მიწას, აგროვებს 30 კოდ ხორბალს, რქოსანი პირუტყვი 3 სული, წისქვილი ერთ ბორბალზე, იღებს შემოსავალს 10 კოდს, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

4. გოგია ჩიტაძე, მისი ცოლი, ვაჟი ნინია.

ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ორდღიური საბატონო მიწა, იღებს 20 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

5. ივანე ლაცაბიძე, მისი ცოლი, ვაჟები: ზურაბი და ნინია, ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, რქოსანი პირუტყვი 3 სული, 1 ცხენი, სხვადასხვა სამუშაოებით ირჩენს თავს

6. სესია ლომსაძე, მისი ცოლი და ქალიშვილი, ვაჟები: გიორგი და პეტრე.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ორდღიური საბატონო მიწა, აგროვებს 20 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

(მინაწერია ფანქრით-თავად ევსტათი აბაშიძისები-ამიტომაც იწყება ნუმერაცია თავიდან-დ.ხ.)

1. თომა ბითაძე, მას ყავს დედა, ბიძაშვილი სიმონი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, 7დღიური საბატონო მიწა, აგროვებს 70 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 8 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

7. გოგია წეველიძე, მისი ცოლი და ქალიშვილი, ვეჟები: თევდორე და ივანე.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ორდღიური საბატონო მიწა, გროვებს 20 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

1811 წელს ჯავახეთიდან მოსული-

8 .ივანე კოიოტაშვილი(?), მას ყავს ცოლი,- იმყოფება მოჯამაგირედ

9. გოგია ხოზაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი ანდრო- მოჯამაგირეა. თავად გიორგი აბაშიძისაგან გაყრილი, თავად ქაიხოსრო აბაშიძის გლეხები

1. მახარობელ ღონდაძე, მისი ცოლი, ვაჟი, გაბრიელი .

ამ ოჯახის ქონება ნაჩვენები არ არის.(დ.ხ.)

თავად ევენი აბაშიძის ყოფილი გლეხები, ახლა კი ეკუთვნიან თავად ივანე ქაიხოსროს ძე აბაშიძეს.

1. ივანე არჯევანიძე , მისი ცოლი და 2 ქალიშვილი, ვაჟები: ანდრო, დავითი, გრიგოლი, გაბრიელი და სიმონი. მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა-გოგია.

ამ ცხრასულიან ოჯახს აქვს სახლი, ოცდღიური საბატონო მიწა, იღებს 10(?)კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 10 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

2. პეტრე არჯევანიძე, მისი ცოლი და 3 ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა გლახა. ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, (ზ.აღწერილი არჯევანიძეების სანახევრო მიწა), ხნავს სამდღიურს, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 8 სული, 3 სკა ფუტკარი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

თავად ევგენი აბაშიძის ყოფილი გლეხი, ახლა კი ეკუთვნის თავად ივანე დავითის ძე აბაშიძეს.

1.გოგია კიკნაძე, მისი ცოლი და 2 ქალიშვილი, ვაჟები: აღდგომელი და ბერო, მისი ბიძაშვილი გოგია. ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი. ორდღიური საბატონო მიწა, აგროვებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 3 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

აზნაურ გაბრიელ სავანელოვის გლეხები

1. სიმონ მარგველაშვილი, მისი ცოლი და 2 ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა გიორგი, მისი ცოლი, ვაჟი-როსტომი, მათი დედა.

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს აბაშიძეების ხუთდღიურ მიწას ღალაზე, მოჰყავს 50 კოდი პური, რქოსანი პირუტყვი 12 სული, 1 ცხენი. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

2. გიორგი ქებაძე (ქვრივი), ვაჟები: ნინია და თომა, მათი ცოლები, ნინიას ვაჟები: გიორგი და პეტრე, ქალიშვილი, თომას ვაჟები: ქიტესა და პავლე, ქალიშვილი. ამ თერთმეტსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს აბაშიძეების ორდღიურ მიწას, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული,, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

სოფელ ცხრამუხიდან გადმოსახლებული, თავად ელიზბარ თაქთაქიშვილის გლეხი

1. ზაქარია ჩიტაძე, მისი ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: დავითი და გოგია, გოგიას ცოლი, ვაჟები: ბერი და ნინია.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სხვის ოთხდღიურ მიწას, იღებს 40 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 5 სული. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

სოფელ ბრეთიდან გადმოსახლებული თავად გიორგი ავალოვის გლეხი

1. ივანე პატარაძე, მისი ცოლი, ვაჟები: თედორე და სოსია, ქალიშვილი. ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, დღიური ქირით აქვს შემოსავალი.

აზნაურ ელიზბარ სავანელოვის გლეხი

1.ივანე ქველაძე, მისი ცოლი, ქალიშვილი. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს აბაშიძეების სამდღიურ მიწას ღალით, აგროვებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს საზრდოს.

2. ნინია ბადრიაშვილი, მისი ცოლი და ქალიშვილი, ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს აბაშიძეების ერთდღიურ მიწას, იღებს 10 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვთ საზრდო.

3. პეტრე ღონდაძე-უცოლო, მოჯამაგირეა.

4. რამაზ ბუტუჩიშვილი(?) - უცოლო, მოჯამაგირეა.

ეს სოფელი,რომელიც ეკუთვნის აბაშიძეებს, გაშენებულია მდინარეზე, რომელსაც ეწოდება შოლა. მიწა ვარგისია 440(770?) დღიური, მწირი- 340 დღიური. სოფელში არის 4 კოშკი, წისქვილი, ტყით სარგებლობენ თავად ციციანოვის აგარაკებიდან, მცხოვრებთა მთავარი საქმიანობაა ხვნა-თესვა და მესაქონლეობა, მიწაზე, რომელიც მდებარეობს ამ სოფლის ქვედა ნაწილში, თავად ვეზიროვების დიდი სახლიდან თვით მდინარე მტკვრის ნაპირამდე, რომელსაც უწოდებენ ჭალას, მცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ იგი ეკუთვნის სახაზინო უწყებას.

წინა აღწერით ამ სოფელში ნაჩვენები იყო, 38 კომლი გლეხი, ადრე ზოგიერთი მათგანი, იხდიდა სურსათს თავად აბაშიძეების გლეხების რიცხვში, ხოლო ზოგიერი საერთოდ არ ყოფილა დაბეგრილი, ახლა კი გარდა ჭირისაგან გარდაცვლილებისა და სხვა ადგილებში გადასახლებულებისა, არიან აგრეთვე საბატონო გლეხები, აზნაურების გარდა 31 კომლი, რომელთაგან გამოსაღების გადახდა შეუძლიათ, მოჯამაგირედ მყოფი სავანელოვის 2 კომლის გარდა, 4 კომლს: ხორბალი12 კოდი, ქერი 8 კოდი. თავად ევსტათი აბაშიძის ერთი უსახსროს გარდა, 8 კომლს- ხორბალი 24 კოდი, ქერი 16 კოდი, თავად ივანე აბაშიძის ერთი უსახსრო და ერთი მოჯამაგირედ მყოფი კომლის გარდა 4 კომლს: ხორბალი 21 კოდი, ქერი 14 კოდი, თავად ქაიხოსრო აბაშიძის 1 კომლს ხორბალი 3 კოდი, ქერი 2 კოდი, თავად ივანე დავითის ძე აბაშიძის 1 კომლს, ხორბალი 3 კოდი, ქერი 2 კოდი, აზნაურ გაბრიელ სავანელოვის 2 კომლს, ხორბალი 6 კოდი, ქერი 4 კოდი, თავად ელიზბარ თაქთაქიშვილის 1 კომლს ხორბალი 3 კოდი, ქერი 2 კოდი, თავად გიორგი ავალოვის 1 კომლს უსახსრობის გამო გადასახადის გადახდა არ შეუძლია.

**სოფელ ქემფერში** აზნაურ ბააკა მურვანიშვილის გლეხები, რომლებიც არ იყვნენ ნაჩვენები წინა აღწერით

1. ვასილ გიგაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი-სოსია. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ორდღიური სახნავი საბატონო მიწა, იღებს 20 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვთ სარჩო.

2. ანდრო თათარაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: ნინია, პეტრე და სიმონი, 3 ქალიშვილი, ძმისშვილები: დათუა და სოსია.

ამ ათსულიან ოჯახს აქვს სახლი, ორდღიური სახნავად მიცემული საბატონო მიწა, ხნავს სამდღიურს(?), იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, 3 სკა ფუტკარი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

3. მახარე ლაბაძე, მისი ცოლი, ვაჟები: თანასე და გიორგი, 2 ქალიშვილი, გიორგის ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა კვირია, მისი ცოლი, ვაჟები: პეტრე, გაბრიელი, დათიკა და გლახა.

ამ 13 სულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 18დღიურ საბატონო მიწას, იღებს 18(?) კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 10 სული, 6 სკა ფუტკარი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს საზრდოს.

დალი ხაჩიძე

(გაგრძელება იქნება)

# ხაშურისთვის მართლაც საუკუნის პროექტი უახლოეს პერიოდში დაიწყება

„ხაშურის წყალმომარაგების პროექტი აქტიურ ფაზაში შევიდა.დღეს განვიხილეთ პროექტის მიმდინარეობა და მის ფარგლებში დასახული ღონისძიებები. მნიშვნელოვანია, რომ პროექტთან დაკავშირებული ტენდერები ნოემბრიდან გამოცხადდება, ხოლო აქტიური სამშენებლო სამუშაოები უკვე 2022 წლიდან დაიწყება," - ამის შესახებ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ მზია გიორგობიანმა კომისიის პირველი შეხვედრის შემდეგ განაცხადა

# დაჯილდოვდნენ მიღწეული წარმატებებისათვის

29 ოქტომბერს, ხაშურის სპორტულ კომპლექსში, წარმატებული სტუდენტების, სპორტსმენების, მათი მწვრთნელების და „ივერიელების" დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

წარმატებულებს ჯილდოები გადასცეს, საქართველოს პარლამენტის წევრმა, ხაშურის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაალ დუგლაძემ, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ზვიად ქურდაძემ და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად გოგუაძემ.

მუნიციპალიტეტისგან ჯილდო მიიღეს, ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 100% -იანი გრანტის მქონე სტუდენტებმა: ლიზი ხმალაძემ, ელენე პაპუაშვილმა, ხატია ოგანესიანმა, ღლიკერია-ილიანა კიკნაძემ, ია მუმლაძემ, რომან გელაშვილმა, ანი ხეთაგურმა, თამარ ბარბაქაძემ, თეკლა ხარაზიშვილმა, ნატო ტაბატაძემ და ნინო მეხრიშვილმა.

მუნიციპალიტეტის პირველმა პირებმა, მათ, მიღწეული წარმატება მიულოცეს და აღნიშნეს, რომ ისინი მაგალითის მიმცემები არიან მომავალი თაობებისთვის და თითოეული მათგანის წარმატება ყველა ხაშურელისთვის საამაყოა.

დაჯილდოვდნენ, 2020-2021 წლებში, სპორტის სფეროში გამორჩეული მოღვაწეობისთვის, საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ ტურნირებში, ხაშურის სახელით მოასპარეზე სპორტსმენები და მათი მწვრთნელები:

1. სამბო-დვალაშვილი ზაური, რომელმაც 2021 წლის 24-28 მაისს კვიპროსში, ქ. ლიმასოლში, ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდებში, დაიკავა II საპრიზო ადგილი. (მწვრთნელი-ბეგლარ ხარშილაძე)

2. რაგბი-გოგიჩაშვილი გურამი, რომელმაც 2021 წლის 26 ივნისს საქართველოში, ქ. თელავში, ევროპის ჩემპიონატზე დიდებში დაიკავა I ადგილი.(მწვრთნელი-დავით სტეფანოვი)

3. რაგბი-ხარაიშვილი გია, რომელმაც 2021 წლის 26 ივნისს, საქართველოში, ქ.თელავში, ევროპის ჩემპიონატზე დიდებში დაიკავა I ადგილი. (მწვრთნელი არსენ გიორგაძე).

4. ძალოსნობა-ოდიკაძე გიგა, რომელმაც 2021 წელს, პოლონეთში, ქ. ჩეხანოვოში, ევროპის ჩემპიონატზე ჭაბუკებში დაიკავა I ადგილი. (მწვრთნელი ავთანდილ ხარაზიშვილი).

5. ძიუდო-მაისურაძე ლუკა, რომელმაც 2021 წლის 24-26 სექტემბერს, ხორვატიაში, ქ. ზაგრებში. „ზაგრების გრანპრიზე" დაიკავა II ადგილი. (მწვრთნელი-ბეგლარ ხარშილაძე).

6. ქვიშის ჭიდაობა-ქელეხსაშვილი ლევანი, რომელმაც 2021 წლის 25-26 სექტემბერს, რუმინეთში, ქ. კონსტანტაში მსოფლიო ჩემპიონატზე დაიკავა I ადგილი.

სპორტის სფეროში გამორჩეული მოღვაწეობისთვის დაჯილდოვდნენ, ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის დამსახურებული მწვრთნელები: ბეგლარ ხარშილაძე, ბუხუტი ბუხრიკიძე, ვახტანგ კვინიკაძე, გიორგი კვინიკაძე, მალხაზ ნოზაძე.

ცერემონიაზე, სპორტული ეკიპირებით დაჯილდოვდნენ:

2006 წლიანი „ივერიის" ფეხბურთელები, რომლებმაც 2020 წლის იმერეთის ღია ჩემპიონატის გათამაშებაში დაიკავეს III ადგილი (მწვრთნელი-მევლუდ ლომიძე, ვახტანგ ჯაფარაშვილი).

2005 წლიანი „ივერიის" ფეხბურთელები, რომლებმაც 2020 წლის იმერეთის ღია ჩემპიონატის გათამაშებაში დაიკავეს III ადგილი (მწვრთნელი-ლევან ლომიძე).

2004 წლიანი „ივერიის" ფეხბურთელები, რომლებმაც 2020 წლის იმერეთის ღია ჩემპიონატის გათამაშებაში დაიკავეს I ადგილი (მწვრთნელი-გიორგი ჩადუნელი).

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსხური, ა(ა)იპ სასპორტო სკოლა, ა(ა)იპ კულტურის ცენტრების გაერთიანება.

გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები, თასები, მედლები და სიგელები.

# ასიანები

მივიდნენ, ნახეს, გაიმარჯვეს – ეს, ანტიკური ხანის ინტერპრირებული სენტენცია აბსოლუტურად მოერგება ამ ბავშვებს, არა მარტო მოერგება, ზუსტად ჯდება მათ ნამოქმედარში. იგივე ანტიკური პერიოდის სპასპეტი ასეთ დროს იტყოდა: - გავიმარჯვე დანაკარგის გარეშე... ზემოთ ბავშვები ვახსენე. ეს ისე, ინერციით მოყოლილი სიტყვაა, თორემ მათი ბავშვობა უკვე უკან დარჩა. ახლა სტუდენტები არიან – ყველაზე საოცარი, ყველაზე საოცნებო, ყველაზე ულამაზესი დრო მათ ცხოვრებაში. იწყება შეუცნობლის შეცნობა, იწყება ასტრალისკენ მიმავალი ბილიკის გაკვალვა, ბილიკის, რომელმაც ისინი დიდ ტაძარში უნდა მიიყვანოს, ამ ტაძარს სამშობლოს სამსახური ჰქვია.

ლაღები, ლამაზები, ნიჭიერები, ერუდირებულები, ინტელექტუალები... ყველა დადებითი ეპითეტი მემეტება მათთვის, ჯერ ხომ სკოლაში იყვნენ საუკეთესოები და მისაბაძები, ახლა აგერ, მთელი საქართველოს მასშტაბით ისახელეს თავი და იმ სტუდენტებს შორის მოხვდნენ, ვინც სახელმწიფოსგან სწავლის საფასურის 100 პროცენტიანი დაფინანსება მიიღო. დიდი შრომა იყო ამ შედეგების უკან. იყო წიგნზე გათენებული თეთრი დამეებიც, მაგრამ სხვაგვარად როგორ? აგერ ეს შრომა დაუფასდათ კიდეც.

მოდით, გაგაცნობთ ჩვენს „ასიანებს“ და შემდეგ ისევ განვაგრძოთ:

ღლიკერია-ილიანა კიკნაძე - პირველი საჯარო სკოლა;

ხატია ოგანესიანი - ხაშურის მე-2 საჯარო სკოლა;

ლიზი ხმალაძე - ხაშურის მე-3 საჯარო სკოლა;

ელენე პაპუაშვილი - ხაშურის მე-3 საჯარო სკოლა;

ია მუმლაძე - ხაშურის მე-4 საჯარო სკოლა;

რომან გელაშვილი - ხაშურის მე-6 საჯარო სკოლა;

ანი ხეთაგური - დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონი;

თამარ ბარბაქაძე - დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონი;

თეკლა ხარაზიშვილი - სურამის მე-4 საჯარო სკოლა;

ნატო ტაბატაძე - სურამის მე-4 საჯარო სკოლა;

ნინო მეხრიშვილი - სურამის მე-4 საჯარო სკოლა.

აი, ის კოჰორტა, აი, ის ფლაგმანი ჩვენი 2020-2021 წლების კურსდამთავრებულების. ახლა, ამათ ათეულობით ე.წ. 70 და 50 პროცენტიანები მიუმატეთ და ვისაც ხაშურზე და მთელ მუნიციპალიტეტზე შავი აზრი გაუელვებს, ანახეთ ისინი. რთულია, მთელი საქართველოს მასშტაბით, სტატისტიკის მოძებნა, თუმცა დარწმუნებული ვართ, მუნიციპალიტეტებს შორის, ამ წარმატებული ბავშვების სიმრავლით, პირველ ხუთეულში ნამდვილად ვიქნებით.

თავს ვხრით მათ წინაშე! თავს ვხრით მათი პედაგოგების წინაშე! მადლობა თქვენ და ყოველთვის გახსოვდეთ, რომ მუდამ გვეიმედებით!

გ. გოგოლაძე

29 ოქტომბერს, კომპლექსურ სასპორტო სკოლაში, „ასიანები“, რომლებიც ზემოთ გაგაცანით, ხაშურის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაალ დუგლაძემ და ხაშურის მერიის წარმომადგენლებმა დააჯილდოვეს. ეს ჯილდო და ფულადი საჩუქარი იყო გამოხატულება იმ მადლობისა, რომელსაც ეს ახალგაზრდები ჭეშმარიტად იმსახურებენ. იმსახურებენ თავისი კარგი სწავლით, პატრიოტიზმით, განათლების წყურვილით, რომ შემდეგ ეს განათლება და ცოდნა საკუთარ სამშობლოს მოახმარონ. ისინი იმ თაობის წარმომადგენლები არიან, რომლებიც ხვალ-ზეგ ქვეყნის სამსახურში მოვლენ, დაუბრუნდებიან მშობლიურ მუნიციპალიტეტს და მისი კეთილდღეობისათვის ყველაფერს გააკეთებენ.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე.
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.